ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 იანვრის სხდომის

დღის წესრიგი

1.

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

მომხს: მანანა ბარბაქაძე

3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციის ჩასატარებლდა გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია

მომხს: ჯაბა ბერაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 06 იანვრის სხდომის

ოქმი N 1

დაბა ხარაგაული

9 აპრილის . #15

2020 წლის 06 იანვარი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები : პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ეკატერინე შველიძე, რუსუდან გიორგაძე, ლენა აბაშიძე, დოდო ხაჩიძე, შალვა ლურსმანაშვილი, იულონ კოპაძე, ნიკოლოზ მაღრაძე, გივი ხიჯაკაძე, ,ზურაბ ხაჩიძე, დავით მაღლაფრიძე აკაკი მაჭავარიანი, სულ საკრებულოს 20 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენელი:

ჯაბა ბერაძე- მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მათვის სამსახურის უფროსი,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნინო თხელიძე -საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. მაღრაძე – ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის" ჟურნალისტი,

თ. ბერიძე -მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი,

თ. გოგოლაძე- გაზეთ ჩემი იმერეთის ჟურნალისტი.

მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

2 . ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

მომხს: მანანა ბარბაქაძე

3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციის ჩასატარებლდ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია

მომხს: ჯაბა ბერაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

და კენჭის ყრაზე დადგა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 20 წევრი

მომხრე 20

წინააღმდეგი-0

დღის წესრიგი მიღებული იქნა (თან ერთვის).

დღის წესრიგი

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი და მეორე საკითხის განხილვის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დროებით დაევალა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს რუსუდან გიორგაძეს

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ანგარიში საკითხზე -საკრებულოს ტავმჯდომარის მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, იმ პირობებში და იმ გამოწვევების ფონზე რომელშიც ჩვენ გვიწევს მუშაობა თავმჯდომარის საქმიანობას დადებითად ვაფასებ.

დავით კიკნაძემ ასევე აღნიშნა, რომ საკრებულოს საქმიანობას დადებითად აფასებს,

პ. გოგოლაძემ ასევე დადებითად შეაფასა საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს შესთავაზა საკრებულოს წევრთა მიერ დასმული წინადადება საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე გასულიყო კენჭის ყრაზე,

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 20 წევრი

მომხრ -18

წინააღმდეგი- 0

თავი შეიკავა 3

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ანგარიში საკითხზე -გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

მ. ფხალაძემ ,რომელმაც აღნიშნა, რომ მეც გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, ვარ აქ ბევრი წარმატებული ქალბატონის წარმოდგენილი, საბჭო მართლაც აქტიურად მუშაობს, ბევრი საინტერესო პროექტი განხორციელდა წლის მანძილზე და ვთვლი, რომ მისი საქმიანობა დადებითად უნდა შეფასდეს.

ვ. ჭიპაშვილმა უნდა აღვნიშნო, რომ თვე არ გავიდოდა, რომ რაღაც აქტივობა არ განეხორციელებია საბჭოს, ეს არის ერთად -ერთი საქმიანობა, სადაც საკრებულოსა და მერიის თანამშრომლობა შედგა ე .ი. რაღაცის მიღწევა შეიძლება, მეც საბჭოს საქმიანობას ვაფასებ დადებითად.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს შესთავაზა საკრებულოს წევრთა მიერ დასმული წინადადება გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე გასულიყო კენჭის ყრაზე,

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 20 წევრი

მომხრ -20

წინააღმდეგი- 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი და მეორე საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომა წაიყვანა საკრებულოს თავმჯდომარემ მანანა ბარბაქაძემ

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მათვის სამსახურის უფროსის ჯ. ბერაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციის ჩასატარებლად გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

ინფორმაცია მიღებული იქნა ცნობად

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მათვის სამსახურის უფროსის ჯ. ბერაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ (თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი,

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 20 წევრი

მომხრ -20

წინააღმდეგი- 0

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე